საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№105/15 „30“ ივლისი 2015 წ.

მოქალაქე ნუგზარ ღონიაშვილს.

ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სამთო ქიმიის შენობის მიმდებარედ არსებული შენობის რეკონსტრუქციის შესახებ.

ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, სამთო ქიმიის შენობის მიმდებარედ არსებული ორ სართულიანი შენობის გვერდზე, მიჯრით, შ.პ.ს „ემ ჯი სტუდიო“-ს მიერ დამუშავებულია სამ სართულიანი შენობის პროექტის როგორც არქიტექტურული, ასევე კონსტრუქციული ნაწილი. არსებული შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის კარკასულ ვარიანტში. შენობის პირველი სართულის გადახურვად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილები. მეორე სართულის გადახურვად გამოყენებულია ფოლადისა და ხის კომბინაცია.

საპროექტო სამ სართულიანი შენობა ასევე გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩოვან ვარიანტში. საძირკვლებად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის მთლიანკვეთიანი ფილა სისქით 30სმ; რომელიც ეფუძნება დატკეპნილი ხრეშის ბალიშს. კონსტრუქციულად არსებული და საპროექტო შენობები დამოუკიდებელი ნაგებობებია, სხვადასხვა საძირკვლებზე და განცალკევებულია ანტისეისმური ნაკერით. მიუხედავად ამისა ორივე ნაგებობა მთლიანობაში წარმოადგენს ერთ ფუნქციონალურ შენობას. არსებული შენობის მეორე სართულზე მდებარე სასტუმრო გაერთიანდება საპროექტო შენობის მეორე და მესამე სართულებთან (სადაც ასევე ეწყობა სასტუმროს ნომრები) შემავსებლ (არაძალოვან) კედელში მოწყობილი კარების (ზომებით b×h=150×240სმ.) საშუალებით. გარდა ამისა, არსებული ორ სართულიანი შენობის შესასვლელ ტერასაზე მოეწყობა პანდუსი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

შ.პ.ს. „მონოლითი“ საკითხის შესახებ გაცნობებთ, რომ საპროექტო შენობა არ მიეკუთვნება მძიმე ნაგებობების კატეგორიას, იგი არ იწვევს ფუძეზე (ხრეშოვან ბალიშზე) დიდი ძაბვების გადაცემას და შესაბამისად არ იქონიებს უარყოფით ზეგავლენას არსებული შენობისათვის. პროექტის მიხედვით ჩატარებული სამშენებლო სამუშაოები უზრუნველყოფენ ორივე შენობის უსაფრთხო მუშაობას.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/